საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი

2-6785/20
24.06.2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის წევრების ზაზა გაბუნიას, მერაბ ქვარაიას, გოგა გულორდავას და კობა ლურსმანაშვილის მიერ ინიცირებული იქნა საქართველოს კანონის პროექტები: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"; „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"; „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"; „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ" (07-3/454; 20.05.2020).

წარმოდგენილი კანონპროექტები ითვალისწინებს ისეთი საკითხების დარეგულირებას, როგორიცაა დედაქალაქში ტაქსების, ტურისტული სატრანსპორტო საშუალებების პარკირების საკითხი, ელექტრომობილების პარკირებისა და მათთვის სპეციალური დამუხტვის ადგილების გამოყოფის საკითხებს. ამასთანავე, რეგულირდება სატრანსპორტო საშუალების მიტოვების და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, რომლებიც აქტუალურია დედაქალაქისათვის.

აღსანიშნავია, რომ:

- დედაქალაქში ტაქსების რეგულაციასთან მიმართებაში ვერ ხდება სატრანსპორტო რეფორმის აღსრულება, კერძოდ, თბილისში ორი წელია ტაქსების რეფორმა მიმდინარეობს და მოიცავს არა მხოლოდ შესაბამისი ნებართვების გაცემას და სატრანსპორტო საშუალებების მოწესრიგებას, არამედ თავად ტაქსის მძღოლებისათვის მუშაობის შესაბამისი პირობების შექმნას. აღნიშნული რეფორმის სრულყოფილად განხორციელების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი არის ტაქსებისთვის სპეციალური პარკირების ადგილების შექმნა და აღნიშნულით სარგებლობა მათ უფასოდ შეუძლიათ.
- სატრანსპორტო რეფორმის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს წარმოადგენს დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სწორედ ამ მიზნით, თბილისის მთავრობის მიერ ხდება ელექტრომძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების პოპულარიზაცია. იმისთვის, რომ ელექტრომობილებით გადაადგილება მძღოლისთვის იყოს კომფორტული და მიზანშეწონილი, მისი მოძრაობა არ უნდა იყოს შეფერხებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ავტომობილი არ უნდა გაჩერდეს დანიშნულების ადგილზე მისვლამდე იმ მიზეზით, რომ არ იყო დატენილი სპეციალური ადგილის არქონის გამო. დედაქალაქში მოეწყო შესაბამისი დასამუხტი ადგილები, რომელთა მოწყობაც საკმაოდ ძვირი ჯდება და სამწუხაროდ, დედაქალაქის მერია ბევრ შემთხვევას, როცა ელექტრომობილების დასატენ ადგილს იყენებენ მხოლოდ პარკირებისთვის, შესაბამისად

ელექტრომობილების დასატენად გამოყოფილი ადგილების გამოყენება არ ხდება დანიშნულებისამებრ. ამასთან საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობს აღნიშნული ელექტროძრავიანი სატრანსპორტო საშუალების დამუხტვის ადგილის აღმნიშვნელი საგზაო ნიშანი და მონიშვნა.

- ხშირია სატრანსპორტო საშუალების მიტოვების შემთხვევები, რაც განსაკუთრებით პრობლემურია, მიტოვებულ ავტომობილებში არის ანტისანიტარია და მნიშვნელოვანია ეს პრობლემა კანონმდებლობის დონეზე მოგვარდეს მოკლე ვადაში.
- პანდემიის პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანია ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის ხელშეწყობა დაიწყოს და პრობლემას წარმოადგენს, რომ არ არსებობს ტურისტული სატრანსპორტო საშუალებებისათვის დგომის ადგილის აღმნიშვნელი საგზაო ნიშანი და მონიშვნა, რის გამოც შესაბამის ადგილებს ვერ საზღვარს უფლებამოსილი ორგანო.

არსებული პრაქტიკისა და რეალობის გათვალისწინებით ტრანსპორტის სფეროში მოქმედი რეგულაციები საკანონმდებლო რეგულაციების არ არსებობის გამო (როგორც სანებართვო, ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიმართულებით) რიგ შემთხვევაში, სათანადოდ და ეფექტიანად ვერ რეაგირებენ შესაბამის გამოწვევებზე, ვერ ახდენენ შესაბამის ზეგავლენას, რათა მომავალში მოხდეს ხარისხიანი სერვისების მიწოდება, სამართალდარღვევის ფაქტების პრევენცია და ა.შ. რა დროსაც, გასათვალისწინებელია, რომ საკითხი ეხება საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას, ამდენად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ყველა რისკი მაქსიმალურად მოკლე დროში იქნას აღმოფხვრილი და შემცირებული - კანონით გათვალისწინებული ყველა რეგულაცია იყოს ქმედითი და უფლებამოსილმა პირებმა შეძლონ თავიანთი მოვალეობების ეფექტიანად განხორციელება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება კანონპროექტების დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის წევრები:

ზაზა გაბუნია _____

მერაბ ქვარაია _____

გოგა გულორდავა _____

კობა ლურსმანაშვილი _____